ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **14-1426034498**
თარიღი: **03/02/2026**

ადრესატი: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
მისამართი: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ.#119

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ედნარ ნატარიძეს

ბატონო ედნარ,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილული იქნა თქვენი 2025 წლის 09 დეკემბრის №01-01-10/7554 (№04-1425343574-14) წერილი, რომელიც ეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, კოწია ერისთავის ქ. №27-ში მდებარე 19321,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ: 05.35.28.574) მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებას. გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების პრივატიზება.

„სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 თებერვლის №17 დადგენილების შესაბამისად, № 05.35.28.574 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი განეკუთვნება პერიფერიული ზონის III ქვეზონას. აღნიშნულ ქვეზონაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 56,70 (ორმოცდათექვსმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს.

დანართის სახით გეგზავნებათ თქვენს წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს (№37-1426029127; 29.01.2026წ.), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის (№06-1425349692; 15.12.2025წ) და შპს „ბათუმის წყალი“-ს (№60-142535977; 25.12.2025წ) მიერ მომზადებული ინფორმაცია

დანართი „09“ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ცინცაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი